



Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC)

საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში

პროფესიონალიზმი
Professionalism

სამოქალაქო
პასუხისმგებლობა
Civic Responsibility

**ეთიკის სტანდარტების სახელმძღვანელო
პრინციპები**
ქართული ანალიტიკური ორგანიზაციებისთვის

დოკუმენტი მომზადდა პროგრამის „საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში“ (G-PAC) - ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ და ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWWMI).

ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან EWWMI-ს შეხედულებებს.

ეთიკის სტანდარტების სახელმძღვანელო პრინციპები ქართული ანალიტიკური ორგანიზაციებისთვის

მიზანი

ეს დოკუმენტი წარმოადგენს სტანდარტების კრებულს, რომელიც ქართულ ანალიტიკურ ორგანიზაციებს თავიანთ საქმიანობაში გაუძღვება. მისი მიზანია ჩამოაყალიბოს უპირატესი პრინციპები და უზრუნველყოს ანალიტიკური ორგანიზაციების მიერ უმაღლესი პროფესიული სტანდარტების დაცვა.

აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) „საჯარო პოლიტიკის, ადგოკატორებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროგრამა“ (G-PAC) დაეხმარა 11 ქართულ ანალიტიკურ ორგანიზაციას ამ სტანდარტების შემუშავებაში. სტანდარტები ეფუძნება აშშ-ში, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ მსგავსი სახის დოკუმენტებს. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების სამუშაო ვერსიას ასევე გაეცნენ არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო პოლიტიკის ექსპერტები და თავიანთი მოსაზრებები დააფიქსირეს. ხანგრძლივი დისკუსიის შედეგად და საჯარო პოლიტიკის კვლევის სფეროში საქართველოში არსებული რეალობის გათვალისწინებით, ქართული ანალიტიკური ორგანიზაციები საბოლოოდ ერთობლივად შეჯერდნენ წინამდებარე სტანდარტებზე.

ეთიკის სტანდარტები

1. **დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.** ანალიტიკური ორგანიზაცია უნდა მაქსიმალურად უნდა იცავდეს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს, თუმცა ამ პრინციპების აღიარების მიუხედავად, შესაძლოა, სრული მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა არ იყოს ყოველთვის შესაძლებელი. დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა გულისხმობს შემდეგს:

- ანალიტიკური ორგანიზაციები არ შეიძლება მიეკუთვნებოდნენ ან ექვემდებარებოდნენ მთავრობას ან სხვა სამთავრობათაშორისო სტრუქტურას.
- ხარისხიანი კვლევა, ფაქტებზე დაფუძნებული ანალიზი და პრინციპები (მაგ. ძირითადი თავისუფლებები და უფლებები,

კანონის უზენაესობა, სამოქალაქო ჩართულობა და ა.შ.) ყოველთვის უნდა წარმოადგენდნენ ორგანიზაციის საქმიანობის განმსაზღვრელ ფაქტორებს და უფრო მაღლა უნდა იდგნენ მთავრობის, კორპორაციის, კერძო პირის, რომელიმე პოლიტიკოსისა თუ დონორის პრიორიტეტებზე.

2. პატიოსნება და გამჭვირვალობა. გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად ანალიტიკური ორგანიზაციები იღებენ ვალდებულებას, რომ:

- თავიდან აიცილებენ ინტერესთა კონფლიქტს, ხოლო მისი წარმოშობის შემთხვევაში, გაასაჯაროებენ მას. ინტერესთა კონფლიქტის გადაჭრის გზების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია შემუშავდეს ორგანიზაციული სახელმძღვანელო პრინციპები და რეგულაციები;
- შეარჩივენ არაკორუმპირებულ პარტნიორებსა და დონორებს;
- უარს იტყვიან ისეთ გრანტსა თუ საჩუქარზე, რომლის წყაროც ანონიმურია, ან რომელიც მიზნად ისახავს ორგანიზაციის საქმიანობასა თუ თანამშრომელზე ზეგავლენის მოხდენას.
- უზრუნველყოფენ კვლევითი პროცესის გამჭვირვალობას, მათ შორის: მეთოდოლოგიისა და მონაცემების გასაჯაროებას, ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას, კვლევის კეთილსინდისიერად, მიუკერძოებლად დაგეგმვას, ინფორმაციის პატიოსნად და ობიექტურად წარდგენას.
- თავს აარიდებენ პლაგიატსა და ფაბრიკაციას.
- დაიცავენ თანამშრომლების, კლიენტების, კვლევაში მონაწილე პირების და სხვათა პირად ინფორმაციას, გარდა იმ გამონაკლისისა, თუ თავად ამ ადამიანებს სურთ რაიმე სახის ინფორმაციის გასაჯაროება ან ეს კანონით არის მოთხოვნილი.

3. ანგარიშვალდებულება. საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებისა და ღიაობის უზრუნველსაყოფად ანალიტიკურმა ორგანიზაციებმა დროულად უნდა გახადონ ხელმისაწვდომი წლიური და ფინანსური ანგარიშები, სადაც ნათლად იქნება მითითებული დაფინანსების წყაროები და გახარჯული თანხები. გარდა ამისა, თავიანთი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის რეგულარულად გასავრცელებლად, გამოიყენონ სხვადასხვა ტიპის მედია საშუალებები; უზრუნველყონ საკონტაქტო ინფორმაციის ხელმისაწ-

ვდომობა ფართო აუდიტორიისათვის, დროული გამოხმაურება მოქალაქეთა შეკითხვებზე და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება.

4. კანონმორჩილება. ანალიტიკური ორგანიზაციები თავიანთი მიზნებისა და აქტივობების განახორციელებისას ქართული კანონმდებლობის ფარგლებში უნდა მოქმედებენ. თუმცა, კანონთან შესაბამისობა მინიმალური სტანდარტია და მასთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია საჯაროდ აღიარებულ ეთიკურ ჩარჩოებში მოქმედებაც.

5. ორგანიზაციის ანგარიშვალდებული მმართველობის განვითარება. უნდა ჩამოყალიბდეს და შენარჩუნდეს ორგანიზაციის მართვის ისეთი კურსი, რომელიც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და ეთიკური სტანდარტების დაცვას (ამ დოკუმენტში აღწერილი პრინციპების შესაბამისად). ორგანიზაციული პოლიტიკის განმსაზღვრელი პრინციპები უნდა აისახოს წესდებაში, რომელიც საჯაროდ იქნება ხელმისაწვდომი და მოიცავს:

- მისიასა და ხედვას, რომელიც აღწერს ორგანიზაციის მიზნებს, ღირებულებებს და მოქმედებების არეალს.
- გამგეობის ფუნქციებს, რომელიც განსაზღვრავს მართვის ზოგად პოლიტიკასა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. გამგეობის მიერ ორგანიზაციის გრძელვადიანი საქმიანობისათვის სასიკეთო გადაწყვეტილებების მიღების უზრუნველსაყოფად, იგი დაკომპლექტებული უნდა იყოს ისეთი წევრებით, რომლებიც არ იღებენ რაიმე სახის ანაზღაურებას, ან მათი პერსონალური თუ პროფესიული ინტერესები გავლენას არ ახდენს ამ ორგანიზაციის საქმიანობაზე.
- ეთიკური მართვის წესებსა და პროცედურებს.
- გრძელვადიან სტრატეგიასა და გეგმებს, რომლებიც შეესატყვისება ორგანიზაციის მისიასა და ხედვასა.
- რეგულაციებს, რაც საშუალებას მისცემს დაინტერესებულ მხარეებს ჩაერთონ და თავიანთი წვლილი შეიტანონ ორგანიზაციის მმართველობაში.

ლიტერატურა

ამ დოკუმენტში გამოყენებული სტანდარტები შემუშავებულია საქართველოსთვის, ანალიტიკური ორგანიზაციების საერთაშორისო აკადემიური და პროფესიონალური წყაროს გამოყენებით. ეს წყაროებია:

Buldioski, G. (2007). Think instead of tanks. *Turkish Policy Quarterly* 6(3), Fall 2007. Retrieved from <http://www.turkishpolicy.com/article/322/think-instead-of-tanks>.

Buldioski, G. (2010). *Think tanks in Central and Eastern Europe and the quality of their policy research*. Central European University (MA Thesis). Retrieved from www.etd.ceu.hu/2010/buldioski_goran.pdf.

Chafuen, A. A. (2002). *Holding think tanks to high standards*. Atlas Investor Report (donor newsletter), Summer 2002.

McGann, J. G. (2012). *The global go to think tanks report 2011: The leading public policy research organizations in the world*. Think Tanks and Civil Societies Program, University of Pennsylvania, Philadelphia, USA.

Policy Association for an Open Society. (2011). *How to win respect and influence policymakers: Principles for effective quality controls in the work of independent think-tanks*. Author, Prague.

RAND Corporation. (2010). *Standards for High-Quality Research and Analysis*. Author, Santa Monica, CA. Retrieved from http://www.rand.org/standards/standards_high.html.

World Association of Non-Governmental Organizations (WANGO). (2004). *Code of ethics and conduct for NGOs*. Author, Tarrytown, NY. Retrieved from <http://www.wango.org/codeofethics.aspx>

ასევე, ამ სტანდარტების შედგენისას გათვალისწინებულ იქნა არიზონას უნივერსიტეტის აშშ-ის პოლიტიკის მკვლევარი ექსპერტების რობერტ მელნიკისა და სტეფან ბატალდენის შეხედულებები. რობერტ მელნიკი არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული გლობალური მდგრადი განვითარების ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორია. მას კვლევასა და მენეჯმენტზე მუშაობის 20 წელზე მეტი გამოცდილება აქვს ისეთ პრესტიჟულ აშშ-ის ანალიტიკურ ორგანიზაციებში როგორცაა საჯარო პოლიტიკის მორისონის ინსტიტუტი და ჰადსონის ინსტიტუტი. სტეფან ბატალდენი არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული მელიკიანის ცენტრის დირექტორია, რომელიც კვლევით და განვითარებად პროექტებს რუსეთსა, ევრაზიასა და აღმოსავლეთ ევროპაში ახორციელებს.

ორგანიზაცია	სახელი, გვარი	ხელმოწერა